<u>ტექნიკური დავალება</u>

პოზიციის დასახელება: პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მუშაობის ინტეგრაციის პროგრამის რეგიონული სოციალური მუშაკი-ტრენერი

პროექტი: საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აქცენტით და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით
განმახორციელებელი: ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG). **დონორი:** ევროკავშირი / საფრანგეთის განვითარების სააგენტო / Expertise France. **ხანგრძლივობა:** 2026 წლის ივნისი - ოქტომბერი. **სამუშაო ადგილი:** საქართველოს მასშტაბით რეგიონები.

1. მიმოხილვა

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG) 2024 წლის იანვრიდან ახორციელებს ევროკავშირის/AFD/Expertise France-ის მიერ დაფინანსებული „ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის“ ჯანდაცვის კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აქცენტით და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეა პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლების გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს ტრენინგებს 10 თემაზე, შემთხვევაზე დაფუძნებულ მხარდამჭერ სუპერვიზიასა და ადგილზე ვიზიტებს. ამჟამად, მთელი საქართველოს მასშტაბით პროგრამაში ჩართულია პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელთა 102 სასწავლო ჯგუფი.

პროგრამის ფარგლებში ასევე იგეგმება ახალი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისათვის სოციალური მუშაობის პრინციპების გაცნობას და მათთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაძლიერებას. აქტივობა ფოკუსირდება ფსიქოსოციალური რისკების, მათ შორის ძალადობის, მოწყვლადობისა და სოციალური საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამის სერვისებზე რეფერირებაზე.

აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად, CCRG ეძებს კვალიფიციურ რეგიონულ სოციალურ მუშაკებს-ტრენერებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსა და ადგილობრივ სოციალურ სამსახურებს შორის კოორდინაციის გაძლიერებაში.

ადეკვატური გეოგრაფიული დაფარვისა და კონტექსტუალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, CCRG გეგმავს ერთი რეგიონული სოციალური მუშაკი-ტრენერის შერჩევას საქართველოს თითოეული რეგიონისთვის. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთზე მეტი რეგიონის შეთავსება.

2. დავალების მიზნები

- პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისთვის ფსიქოსოციალური რისკების იდენტიფიკაციასა და რეფერალურ მექანიზმებზე სტრუქტურირებული ონლაინ ტრენინგების ჩატარება;
- შემთხვევებზე დაფუძნებული მხარდამჭერი სუპერვიზიის სესიების ჩატარება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშესაწყობად;
- პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერებსა და ადგილობრივ სოციალურ სერვისებს შორის კოორდინაციის გაძლიერება კონტექსტის შესაბამის სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით.

3. სამუშაოს მოცულობა

შერჩეული კონსულტანტები შეასრულებენ შემდეგ სამუშაოებს:

1. ტრენერთა ტრენინგში (ToT) მონაწილეობა (2026 წლის მაისი/ივნისი).

- დასწრება და აქტიური მონაწილეობა უფროსი ტრენერის მიერ ჩატარებულ 2-დღიან შეხვედრაში ქ. თბილისში;
- **შესწავლილი იქნება:**
    - ტრენინგის შინაარსი;
    - ფასილიტაციის მეთოდოლოგია;
    - შემთხვევაზე დაფუძნებული ზედამხედველობის მიდგომა.

2. ონლაინ ტრენინგების ჩატარება (2026 წლის ივნისი – ოქტომბერი)

- ონლაინ ტრენინგების ჩატარება პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ჯგუფებისათვის.
- ტრენინგის შინაარსი მოიცავს:
    - ფსიქოსოციალური რისკების იდენტიფიცირებას;
    - მოწყვლად პაციენტებთან კომუნიკაციას;
    - რეფერალის გზებსა და კოორდინაციის მექანიზმებს;
    - პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისა და სოციალური მუშაკების როლებსა და პასუხისმგებლობებს.

3. მხარდამჭერი ზედამხედველობა (2026 წლის ივლისი – ოქტომბერი)

- პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისათვის შემთხვევაზე დაფუძნებული ზედამხედველობის სესიების ჩატარება
- უპერვიზიის შინაარსი მოიცავს:
    - პირველადი ჯანდაცვის პრაქტიკიდან რეალური შემთხვევების განხილვას;
    - გადაწყვეტილების მიღებისა და რეფერალების მხარდაჭერას;
    - სექტორთაშორისი კოორდინაციის პრაქტიკის ხელშეწყობას.

4. კონტექსტუალური ადაპტაცია

- **ოციალური სერვისების ადგილობრივი რუკის ინტეგრირება** ტრენინგებსა და მხარდამჭერი ზედამხედველობის სესიებში;
- რეფერალური ინსტრუქციების გამოყენებისა და ადგილობრივ კონტექსტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

4. ჩასაბარებელი შედეგები და ვადები

შედეგი	ვადა
ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობა	2026 წლის მაისი/ივნისი
ონლაინ ტრენინგების ჩატარება	2026 წლის ივნისი – ივლისი
ონლაინ ზედამხედველობის სესიები	2026 წლის ივლისი – ოქტომბერი

შედეგი	**ვადა**
ჩატარებული სესიების შესახებ ანგარიში	ყოველთვიურად - განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში

5. საჭირო კვალიფიკაცია

ეგიონული ტრენერები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში, ფსიქოლოგიაში, ჯანდაცვის ან სოციალურ სფეროში. აკადემიური ხარისხის არქონის შემთხვევაში — სოციალური მუშაკის ტრენინგის სერტიფიკატი და მუშაობის დადასტურებული გამოცდილება;
- სოციალურ სფეროში მინიმუმ **3-5 წლიანი პროფესიული გამოცდილება:**
    - მოწყვლად მოსახლეობასთან;
    - შემთხვევათა მართვაში.
- ადგილობრივი სოციალური მომსახურების სისტემების სიღრმისეული ცოდნა;
- **ფსიქიკური ჯანმრთელობის და/ან ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სფეროში გამოცდილება ან სპეციალიზაცია ჩაითვლება უპირატესობად;**
- ტრენინგებში ან ფასილიტაციაში გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- კომუნიკაციისა და ფასილიტაციის კარგი უნარები;
- ქართული ენის თავისუფლად ცოდნა.

6. ხანგრძლივობა და ჩართულობა

მომსახურების გაწევის პერიოდი: 2026 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით.

ჩასატარებელი ონლაინ შეხვედრების რაოდენობა:

- დაახლოებით **30-35 სესია** , მათ შორის:
    - სასწავლო სესიები
    - ზედამხედველობის სესიები

7. განაცხადის შეტანის პროცედურა

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადებები 2026 წლის 14 მაისამდე, შემდეგ მისამართზე: **ccrg-tender@caritas.cz**

EXPERTISE FRANCE
GROUPE AFD

Caritas
Czech Republic

თემა:
„GE68 – რეგიონული სოციალური მუშაკი-ტრენერი პირველადი ჯანდაცვისა და – სოციალური მუშაობის ინტეგრაციის პროგრამაში“

წინადადებები უნდა მოიცავდეს:

ტექნიკური წინადადება (მაქსიმუმ 3 გვერდი):

- დავალების გააზრება
- შემოთავაზებული მიდგომა ტრენინგისა და ზედამხედველობის მიწოდების მიმართ
- შესაბამისი გამოცდილება

ფინანსური წინადადება:

- ტრენინგის/ზედამხედველობის ერთი სესიის საფასური

რეზიუმე (CV)

8. შეფასების კრიტერიუმები

წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ტექნიკური წინადადების ხარისხი და შესაბამისობა – **40%**
- შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია – **30%**
- ფინანსური წინადადება – **30%**